

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და  
სოციალური დაცვის მინისტრის  
2020 წლის 14 თებერვლის ბრძანება №01-20/5

დანართი №1

ორსული, ახალნაშობიარები და მეძუძური ქალების ჯანმრთელობისთვის მავნე ან/და  
განსაკუთრებული რისკის შემცველი სამუშაოები

### მუხლი 1

ეს დანართი განსაზღვრავს ორსული, ახალნაშობიარები და მეძუძური ქალების ჯანმრთელობისთვის მავნე ან/და განსაკუთრებული რისკის შემცველ სამუშაოებს და ამ მიზნით ადგენს ფაქტორებს, აგენტებს და აღწერს სამუშაო პროცესებს, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინონ ორსული, ახალნაშობიარები და მეძუძური ქალების, ასევე ნაყოფისა და ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებაზე.

### მუხლი 2

ამ დანართის მიზნებისთვის ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

**ორსული ქალი** – დასაქმებული, რომელმაც ორსულობის შესახებ აცნობა დამსაქმებელს (დამსაქმებელი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში დასაქმებულს მოსთხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია);

**ახალნაშობიარები ქალი** – დასაქმებული მშობიარობიდან 6 თვის განმავლობაში, რომელმაც ამის შესახებ აცნობა დამსაქმებელს (დამსაქმებელი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში დასაქმებულს მოსთხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია);

**მეძუძური ქალი** – დასაქმებული, რომელიც ძუძუთი კვებას 1 წლამდე ასაკის ბავშვს და ამის შესახებ აცნობა დამსაქმებელს.

### მუხლი 3

ორსული, ახალნაშობიარები და მეძუძური ქალების ჯანმრთელობისთვის მავნე ან/და განსაკუთრებული რისკის შემცველ სამუშაოებად მიიჩნევა:

ა) სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია №1.1 დანართით განსაზღვრულ ფიზიკურ (ტვირთის გადატანა) და შრომით (ერგონომიკა) დატვირთვასთან;

ბ) სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია №1.2 დანართით განსაზღვრულ ქიმიურ აგენტებთან;

გ) სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია №1.3 დანართით განსაზღვრულ ფიზიკურ ფაქტორებთან;

დ) სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია №1.4 დანართით განსაზღვრულ ბიოლოგიურ აგენტებთან;

ე) სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია №1.5 დანართით განსაზღვრულ ფსიქოსოციალური და პროფესიული სტრესის გამომწვევ ფაქტორებთან.

## დანართი №1.1

### სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია ფიზიკურ (ტვირთის გადატანა) და შრომით (ერგონომიკა) დატვირთვასთან

#### მუხლი 1. ფიზიკურ (ტვირთის გადატანა) დატვირთვასთან დაკავშირებული სამუშაოები

1. ორსულობის 27-ე კვირამდე მძიმედ და საშიშად ითვლება რეგულარულად 5 კგ-ზე მეტი წონის მქონე ტვირთის გადატანა ან, ცალკეულ შემთხვევებში (არარეგულარულად), 10 კგ-ზე მეტი წონის მქონე ტვირთის გადატანა, ასევე მექანიკური დამხმარე საშუალებების, როგორცაა დომკრატის და ტვირთის ამწევი სხვა მოწყობილობების გამოყენება, მაქსიმალური დატვირთვით ნებისმიერი მიმართულებით, რომლებიც შეესაბამება 5კგ-ზე ან 10 კგ-ზე მეტი წონის ტვირთის აწევასა და გადატანას.

2. ორსულობის 27-ე კვირიდან დაუშვებელია ორსული ქალებისათვის ნებისმიერი წონის ტვირთის გადატანა.

#### მუხლი 2. შრომით (ერგონომიკა) დატვირთვასთან დაკავშირებული სამუშაოები

1. ორსულობისას და მშობიარობიდან 16 კვირამდე მძიმედ და საშიშად მიიჩნევა საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია ხშირ მოუხერხებელ მოძრაობებთან და პოზებთან, როგორცაა მაგალითად სხეულის მნიშვნელოვანი დაჭიმვა (იგულისხმება გასწორება) ან მოხრა, ხანგრძლივი ჩაცუცქვა ან დახრა, ასევე საქმიანობა სხეულის ფიქსირებული პოზით მოძრაობის გარეშე. ასეთ საქმიანობებს ასევე განეკუთვნება სხეულზე გარე ძალის ზემოქმედება, როგორცაა დარტყმა, ვიბრაცია და რყევა.

2. ორსული ქალები არ უნდა ასრულებდნენ საწარმოო ოპერაციებს, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაო საგნების მხრის სარტყელზე მაღლა აწევასთან, საგნის იატაკიდან აწევასთან, ფეხებისა და მუცლის პრესის კუნთების უპირატეს სტატიკურ დამაბვასთან, იძულებით სამუშაო პოზასთან (ჩაცუცქვა, მუხლებზე დგომა, მკერდითა და მუცლით დანადგარებსა და სამუშაო საგნებზე მიყრდნობა, მოხრილ მდგომარეობაში ყოფნა), სხეულის დახრასთან 15°-ზე მეტად.

3. ორსული ქალებისათვის გამორიცხული უნდა იყოს სამუშაოები ისეთ დანადგარებთან, რომელთა მართვისათვის გამოიყენება ფეხის სატერფული, კონვეიერზე მუშაობა იძულებითი რიტმით, მონოტონური სამუშაოები და სამუშაოები თანმხლები ნერვულ-ემოციური დამაბულობით.

4. აკრძალულია ასვლა/ჩამოსვლა ვერტიკალურ კიბესა და ბოძზე ფეხმძიმობის დადგენის დღიდან.

5. ორსული, ახალნამშობიარები და მეძუძური ქალებისათვის აკრძალულია ღამის სამუშაოების შესრულება, მუშაობა ცვლებში რეგულარული ცვლიანობის უკუროტაციის სისტემით (ღამის ცვლა, გვიანი ცვლა და ადრიანი ცვლა) ან ერთმანეთის მომდევნო ცვლებში მუშაობა.

6. რეკომენდებულია დამსაქმებელმა ღამის სამუშაოზე დასაქმებული ორსული, ახალნამშობიარები და მეძუძური ქალი გადაიყვანოს დღის სამუშაოზე, თუ ეს შეუძლებელია, გაათავისუფლოს დასაქმებული თავისი მოვალეობის შესრულებისაგან დროებით, რამდენიც საჭიროა მისი და/ან ნაყოფის/ბავშვის ჯანმრთელობის უსაფრთხოებისათვის.

7. რეკომენდებულია ასევე დამსაქმებელმა ამ დანართით განსაზღვრულ ორსული, ახალნამშობიარები და მეძუძური ქალების ჯანმრთელობისთვის მავნე ან/და განსაკუთრებული რისკის შემცველ სამუშაოებზე დასაქმებულ ქალს შეუცვალოს მუშაობის პირობები ან საათები, ან შესთავაზოს მას ალტერნატიული სამუშაო, თუ ეს შეუძლებელია, გაათავისუფლოს დასაქმებული თავისი მოვალეობის შესრულებისაგან დროებით, რამდენიც საჭიროა მისი და/ან ნაყოფის/ბავშვის ჯანმრთელობის დაცვისთვის.

6. ორსული, ახალნამშობიარები და მეძუძური ქალებისათვის შესასრულებლად შესაფერისი სამუშაო ტექნოლოგიური ოპერაციები შეირჩევა წარმოების ტექნოლოგიური პროცესებიდან იმ პირობით, რომ ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ №1 ცხრილში წარმოდგენილ შრომითი დატვირთვის დასაშვებ მაჩვენებლებს. ასეთ სამუშაოებს შესაძლოა განეკუთვნებოდნენ მსუბუქი ოპერაციები – აწყობა, დახარისხება და შეფუთვა.

### ცხრილი №1

შრომითი დატვირთვის მაჩვენებლები ორსული, ახალნამშობიარე და მეძუძური ქალებისათვის		
№	შრომითი დატვირთვის მაჩვენებლები	დონეები
1.	მექანიზაციის ხარისხი	შრომა მთლიანად მექანიზირებულია
2.	სამუშაო პოზა	თავისუფალი
3.	სიარული ცვლის განმავლობაში (კმ)	2-მდე
4.	ხელებით შესრულებულ სამუშაო მოძრაობათა ხასიათი	მარტივი სტერეოტიპული
5.	მოძრაობის ტემპი	თავისუფალი
6.	ცვლის განმავლობაში სამუშაო ოპერაციების რიცხვი	10 და ნაკლები
7.	განმეორებით შესასრულებელ ოპერაციათა ხანგრძლივობა (წმ)	100
8.	გამახვილებული დაკვირვების ხანგრძლივობა, ცვლის დროის %	25-მდე
9.	სიგნალთა, შეტყობინებათა სიმჭიდროვე, საშუალოდ 1 საათის განმავლობაში	60-მდე
10.	მხედველობითი გასარჩევი ობიექტის ზომა (მხედველობითი სამუშაოების კატეგორია)	5მმ-ზე მეტი, მცირე სიზუსტის სამუშაო
11.	ცვლიანობა	დღის ცვლა

### მუხლი 3. მოთხოვნები ორსული ქალების სამუშაო ადგილების ორგანიზებისადმი

1. ორსული ქალებისათვის უნდა მოეწყოს სტაციონარული სამუშაო ადგილები სამუშაოთა ოპერაციების შესასრულებლად თავისუფალ რეჟიმსა და პოზაში, რაც იძლევა სურვილისამებრ მდგომარეობის შეცვლის შესაძლებლობას. დაუშვებელია მუდმივად „მჯდომარე“/„მდგომარე“ პოზაში მუშაობა, გადაადგილება (სიარული).

2. ორსული ქალების სამუშაო ადგილი უნდა აღიჭურვოს სპეციალური მბრუნავი სკამით, რომლის ცალკეული ელემენტები (თავის მისაყუდებელი, საზურგე, სახელური, საჯდომი და სხვ.) რეგულირდება ინდივიდუალურად. სკამის საზურგის დახრის კუთხე რეგულირდება ორსულობის ასაკისა და შრომისა და დასვენების რეჟიმის შესაბამისად. სკამის საზურგე ან საჯდომი ნაწილი უნდა იყოს დაფარული ნახევრად რბილი არასრიალა მასალით, რომელიც იოლად ექვემდებარება სანიტარიულ დამუშავებას.

3. ორსული ქალებისათვის საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს ქვესადგომი ფეხებისათვის სიმაღლისა და დახრილობის რეგულირების შესაძლებლობით.

4. ორსული ქალებისათვის სამუშაო მაგიდის ზედაპირის ჭრილი უნდა იყოს მომრგვალებული კუთხეებით და დაფარული მქრქალი მასალით არეკლილი სიბრჭყვიალის თავიდან ასაცილებლად;

5. ორსული ქალებისთვის სამუშაო მაგიდასა და საწარმოო აღჭურვილობას უნდა ჰქონდეს სივრცე ფეხებისათვის: სიმაღლე არანაკლებ 600 მმ, სიგანე არანაკლებ 500-600 მმ, სიღრმე არანაკლებ 450 მმ – მუხლების დონეზე და არანაკლებ 650 მმ – ტერფების დონეზე.

## დანართი №1.2

### ქიმიურ აგენტებთან დაკავშირებული სამუშაოები

#### მუხლი 1

ეს დანართი ადგენს სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნებს ქიმიური აგენტებით გამოწვეული საფრთხისგან ორსული, ახალნამშობიარები და მეძუძური ქალების დასაცავად.

#### მუხლი 2

ეს დანართი ეხება ყველა იმ სამუშაოს, რომლის შესრულების დროსაც ორსული, ახალნამშობიარები და მეძუძური ქალები შეიძლება განიცდიდნენ ქიმიური აგენტების ზემოქმედების საფრთხეს.

#### მუხლი 3

ამ დანართში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ექსპოზიცია** – მავნე ფაქტორის ინტენსივობისა და ორგანიზმზე ზემოქმედების ხანგრძლივობის რაოდენობრივი მახასიათებელი;

ბ) **ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია (ზდკ)** – სამუშაო გარემოს ჰაერში ქიმიური ნივთიერების ან ნარევის ის კონცენტრაცია, რომლის მოქმედება დასაქმებულზე 8-საათიანი სამუშაო დღის ან კვირაში არაუმეტეს 40 საათის განმავლობაში არ იწვევს მთელი სიცოცხლის მანძილზე დასაქმებულის ჯანმრთელობის დაზიანებას ან დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდებით გამოვლენილი დაავადების განვითარებას;

გ) **გამალიზიანებელი ნივთიერება** – ნივთიერება, რომელიც კანთან და ლორწოვან გარსებთან შეხებისას (ერთჯერადი და განმეორებითი) იწვევს ქსოვილში ანთებითი პროცესის განვითარებას;

დ) **კანცეროგენული ნივთიერება** – ნივთიერება, რომელსაც შეუძლია ორგანიზმში გამოიწვიოს ავთვისებიანი სიმსივნე;

ე) **მასენსიბილიზებელი ნივთიერება** – ნივთიერება, რომლის განმეორებითი ზემოქმედება იწვევს ორგანიზმის სპეციფიკური მგრძნობელობის მომატებას.

ვ) **მუტაგენური ნივთიერება** – ნივთიერება, რომელსაც შეუძლია ორგანიზმში გამოიწვიოს მემკვიდრეობითი ცვლილებები;

ზ) რეპროდუქციული ეფექტის გამომწვევი ნივთიერება – ნივთიერება, რომელიც იწვევს ორგანიზმის რეპროდუქციული ფუნქციის დაზიანებას (გონადოტროპული, ემბრიოტოქსიკური და ტერატოგენული ეფექტები);

თ) რისკი – ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედების არასასურველი ეფექტების მოსალოდნელი სიხშირე.

ი) საშიში ქიმიური ნივთიერებები ან ნარეველები – ქიმიური აგენტები, რომლებიც იმყოფება სამუშაო გარემოში ან გამოიყენება მუშაობის პროცესში და თავისი ფიზიკური, ქიმიური და ტოქსიკური თვისებების გამო საფრთხეს უქმნის დასაქმებულს;

კ) საშიშროება – გამოყენების რეალურ პირობებში ქიმიური ნივთიერებების მავნე ზემოქმედების წარმოქმნის ალბათობა;

ლ) საშიშროების კლასი – ქიმიური ნივთიერებების ორგანიზმზე ზემოქმედების ხარისხის მაჩვენებელი;

მ) ფრაზები – რისკის (R-ფრაზები) და საშიშროების (H-ფრაზები). შესაბამისობა H და R ფრაზებს შორის მოყვანილია ცხრილში 1<sup>1</sup>;

მ.ა) საშიშროების ფრაზები (H-ფრაზები) – მინიშნება საშიშროებაზე (H). მოყვანილია ცხრილში 1;

მ.ბ) რისკის ფრაზები (R-ფრაზები) - მინიშნება რისკზე (R).

ნ) ქიმიური აგენტები – ნივთიერებები ან შუალედური ქიმიური პროდუქტები, მათ შორის, ზოგიერთი ბიოლოგიური ბუნების (ანტიბიოტიკები, ვიტამინები, ჰორმონები, ფერმენტები, ცილოვანი პრეპარატები), რომლებიც შეიძლება არსებობდნენ ბუნებრივად, წარმოიქმნან წარმოების, დამუშავებისა და გამოყენების, გათბობის პროცესში ან შემთხვევით, მიიღებიან ქიმიური სინთეზით და/ან რომელთა კონტროლისათვის გამოიყენება ქიმიური ანალიზის მეთოდი.

#### მუხლი 4

ორსული, ახალნამშობიარები და მეძუძური ქალების სამუშაო ადგილებზე არ უნდა იყოს ქიმიური აგენტების დასაშვებზე მომატებული კონცენტრაციები და უნდა შეესაბამებოდეს – „სამუშაო ზონის ჰაერში მავნე ნივთიერებების შემცველობის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების დამტკიცების შესახებ“ – 2014 წლის 15 იანვრის საქართველოს მთავრობის №70 დადგენილებით დამტკიცებულ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ნორმებს და ითვალისწინებდეს ორსული, ახალნამშობიარე და მეძუძური ქალებისათვის საშიში ქიმიური აგენტების ჩამონათვალს (იხ. ცხრილი №2 და ცხრილი №3).

#### მუხლი 5

ორსული, ახალნამშობიარები და მეძუძური ქალებისთვის განსაკუთრებით საშიშ სამუშაოებს მიეკუთვნება:

ა) მუშაობა იმ საშიშ ნივთიერებებთან და ნარევებთან, რომლებიც ხასიათდებიან საშიშროების აღმნიშვნელი სულ მცირე ერთი H-ფრაზით ან R-ფრაზით;

ბ) მუშაობა იმ მასალებთან, რომლებიც ნორმალური და გონივრული მოპყრობის პირობებში გამოყოფენ საშიშ ნივთიერებებს და ნარევეს კლასიფიცირებულს, როგორც:

ბ.ა) ჩანასახოვანი უჯრედების მუტაგენურობა: 1A, 1B ან მე-2 კატეგორიები (H340, H341);

ბ.ბ) კანცეროგენობა: 1A, 1B ან 2 კატეგორიები (H350, H350i, H351);

ბ.გ) რეპროდუქციული ტოქსიკურობა: 1A, 1B ან მე-2 კატეგორიები ან ლაქტაციაზე ზემოქმედების შემთხვევაში დამატებითი კატეგორია (H360, H360D, H360FD, H360Fd, H360Df, H361, H361d, H361fd, H362); რეპროდუქციული ფუნქციის ტოქსიკანტები მოყვანილია ცხრილში №3.

გ) სპეციფიკური სამიზნე ორგანოს ტოქსიკურობა ერთჯერადი ექსპოზიციის დროს: პირველი ან მე-2 კატეგორია (H370, H371);

დ) ვერცხლისწყალი და ვერცხლისწყლის წარმოებულები;

ე) ანტიმიტოტური (ციტოტოქსიკური) პრეპარატები;

ვ) ნახშირბადის მონოოქსიდი;

ზ) საშიში დერმალური (კანიდან) შეწოვის ქიმიური აგენტები;

თ) ტყვია და ტყვიის წარმოებულები;

ი) არომატული პოლიციკლური ნახშირწყალბადების წარმოებასთან დაკავშირებული ქიმიკატები: ნახშირის ჭვარტლი, ფისები, პეკი, ორთქლსა და მტვერში არსებული ქიმიკატები;

კ) სპილენძ-ნიკელის შტეინის გამოწვასა და ელექტრორაფინირების დროს გამოყოფილი მტვერი, ბოლი და შხეფები;

ლ) იზოპროპილის სპირტის წარმოებაში ძლიერი მჟავური ზემოქმედება;

მ) პესტიციდები.

## **მუხლი 6**

1. დამსაქმებელი ვალდებულია შეაფასოს ორსული, ახალნამშობიარე და მეძუძური ქალების სამუშაო ადგილზე ქიმიური აგენტების ზეგავლენის რისკი, ქიმიური ექსპოზიციის დონე და ხანგრძლივობა და მხედველობაში მიიღოს არსებული ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები (ზდკ) საწარმოო გარემოს ჰაერისათვის.

2. თუ დადგინდა, რომ ქიმიური აგენტ(ებ)ის კონცენტრაცია სამუშაო გარემოს ჰაერში აღემატება დასაშვებ ნორმას (ზდკ), დამსაქმებელმა უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები სამუშაო გარემოს ჰაერში ქიმიური აგენტის კონცენტრაციის შესამცირებლად ისე, რომ არ დააზიანოს დასაქმებულის ჯანმრთელობა.

3. თუ რისკის შეფასებისას გამოვლინდა, რომ სამუშაო ადგილი შეიცავს ქიმიურ საფრთხეს, დამსაქმებელმა უნდა აცნობოს ორსულ, ახალნამშობიარე ან მეძუძურ ქალს ამის შესახებ, განუმარტოს, რას მოიცავს ქიმიურ საფრთხესთან დაკავშირებული რისკი მისი ჯანმრთელობისათვის და რა ზომების მიღებაა საჭირო საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

4. იქ, სადაც შესაძლებელია რისკის პრევენცია და ექსპოზიციის კონტროლი, უნდა განხორციელდეს მავნე ქიმიური აგენტის ჩანაცვლება ალტერნატიულით, გატარდეს საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებები, სამუშაოს სწორი დაგეგმვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებების და მოწყობილობების გამოყენებით.

5. თუ რისკის თავიდან აცილება შეუძლებელია არსებული საშუალებებით, რეკომენდებულია დამსაქმებელმა შეცვალოს მუშაობის პირობები ან საათები, ან შესთავაზოს დასაქმებულ ორსულ, ახალნამშობიარე და მეძუძურ ქალს ალტერნატიული სამუშაო, თუ ეს

შეუძლებელია, გაათავისუფლოს დასაქმებული თავისი მოვალეობის შესრულებისაგან დროებით, რამდენიც საჭიროა მისი ჯანმრთელობის დაცვისათვის.

## მუხლი 7

1. დამსაქმებელი ვალდებულია ჩაუტაროს სწავლება ქიმიური უსაფრთხოების საკითხებზე ორსულ და მეძუძურ ქალებს და უზრუნველყოს ისინი თვალსაჩინო ინფორმაციით (მაგ., უსაფრთხოების შესახებ საინფორმაციო ფურცლებით, პლაკატებით და ა.შ.).

2. მემკვიდრეობითი გენეტიკური დაზიანების გამომწვევ ქიმიურ აგენტებთან მუშაობისას დამსაქმებელი ვალდებულია შეაფასოს ორსული, ახალნამშობიარები და მეძუძური ქალის ჯანმრთელობის მდგომარეობა და გაატაროს ზომები რისკის თავიდან ასაცილებლად ან გასაკონტროლებლად.

3. ქიმიური აგენტები ჯანმრთელობაზე მოქმედების მიხედვით კლასიფიცირდებიან 10 კლასად, რომელთაგან თითოეული კლასი საშიშროების სიმძიმის მიხედვით საშიშროების შესაბამის კატეგორიად კლასიფიცირდება:

ა) **მწვავე ტოქსიკურობა** – საშიშროების 4 კატეგორია საშუალო სასიკვდილო დოზის (პერორალური, დერმარული და ინჰალაციური) DL<sub>50</sub>/DCL<sub>50</sub> -ის საფუძველზე<sup>1</sup>.

DL<sub>50</sub> ≤ 5 მგ/კგ – კატეგორია 1 ;

DL<sub>50</sub> ≤ 50 მგ/კგ – კატეგორია 2;

DL<sub>50</sub> ≤ 300 მგ/კგ – კატეგორია 3;

DL<sub>50</sub> ≤ 2000 მგ/კგ – კატეგორია 4;

ბ) **კანის კოროზია/გალიზიანება**

კანის კოროზია: კატეგორია 1 – კანის დესტრუქცია, ხილული ნეკროზი.

ქვეკატეგორია 1A – კოროზია ექსპოზიციიდან ≤ 3 წუთის განმავლობაში.

კოდები	საშიშროებაზე მინიშნების (H-ფრაზები)	საშიშროების კლასი	საშიშროების კატეგორია
H300	ფატალურია გადაყლაპვისას	მწვავე ტოქსიკურობა	1, 2
H301	ტოქსიკურია გადაყლაპვისას	მწვავე ტოქსიკურობა	3
H302	მავნეა გადაყლაპვისას	მწვავე ტოქსიკურობა	4
H303	შეიძლება იყოს მავნე გადაყლაპვისას	მწვავე ტოქსიკურობა	5
H304	შეიძლება იყოს ფატალური გადაყლაპვისას და საჭაერო გზებით შეღწევისას	ასპირაციული ტოქსიკურობა	1
H305	შეიძლება იყოს მავნე გადაყლაპვისას და საჭაერო გზებით შეღწევისას	ასპირაციული ტოქსიკურობა	2
H310	ფატალურია კანთან კონტაქტისას	მწვავე ტოქსიკურობა	1, 2
H311	ტოქსიკურია კანთან კონტაქტისას	მწვავე ტოქსიკურობა	3
H312	მავნეა კანთან კონტაქტისას	მწვავე ტოქსიკურობა	4

<sup>1</sup> მოყვანილია მწვავე ტოქსიკურობის კატეგორიები პერორალური ექსპოზიციისათვის.

H313	შეიძლება იყოს მავნე კანთან კონტაქტისას	მწვავე ტოქსიკურობა	5
H314	იწვევს კანის ძლიერ დამწვრობას და თვალების დაზიანებას	კანის კოროზია/გალიზიანება	1A, 1B, 1C
H315	იწვევს კანის გაღიზიანებას	კანის კოროზია/გალიზიანება	2
H316	იწვევს კანის მსუბუქ გაღიზიანებას	კანის კოროზია / გაღიზიანება	3
H317	შეიძლება გამოიწვიოს კანის ალერგიული რეაქცია	სენსიბილიზაცია	1
H318	იწვევს თვალების სერიოზულ დაზიანებას	თვალის სერიოზული დაზიანება/ თვალის გაღიზიანება	1
H319	იწვევს თვალების სერიოზულ გაღიზიანებას	თვალის სერიოზული დაზიანება/ თვალის გაღიზიანება	2A
H320	იწვევს თვალების გაღიზიანებას	თვალის სერიოზული დაზიანება/ თვალის გაღიზიანება	2B
H330	ფატალურია ინჰალაციისას	მწვავე ტოქსიკურობა, ინჰალაცია	1, 2
H331	ტოქსიკურია ინჰალაციისას	მწვავე ტოქსიკურობა	3
H332	მავნეა ინჰალაციისას	მწვავე ტოქსიკურობა	4
H333	შეიძლება იყოს მავნე ინჰალაციისას	მწვავე ტოქსიკურობა	5
H334	შეიძლება გამოიწვიოს ალერგია ან ასთმური სიმპტომები ან სუნთქვის გაძნელება ჩასუნთქვისას	სენსიბილიზაცია, რესპირატორული	1
H335	შეიძლება გამოიწვიოს რესპირატორული გაღიზიანება	სპაეციფიკური სამიზნე ორგანოს ტოქსიკურობა, ერთჯერადი ექსპოზიცია; რესპირატორული ეფექტი	3
H336	შეიძლება გამოიწვიოს მილიანობა ან თავბრუსხვევა	სპაეციფიკური სამიზნე ორგანოს ტოქსიკურობა, ერთჯერადი ექსპოზიცია; ნარკოტიკული ეფექტი	3
H340	შეიძლება გამოიწვიოს გენეტიკური დეფექტები (თუ დამტკიცებულია, რომ ექსპოზიციის არც ერთი სხვა გზა არ წარმოადგენს საშიშროებას, მიუთითეთ ექსპოზიციის გზა)	ჩანასახოვანი უჯრედის მუტაგენობა	1A, 1B
H341	სავარაუდოდ შეუძლია გამოიწვიოს გენეტიკური დეფექტები (თუ დამტკიცებულია, რომ ექსპოზიციის არც ერთი სხვა გზა არ წარმოადგენს საშიშროებას, მიუთითეთ ექსპოზიციის	ჩანასახოვანი უჯრედის მუტაგენობა	2



	გზა)		
H350	შეიძლება გამოიწვიოს კანცერი (თუ დამტკიცებულია, რომ ექსპოზიციის არც ერთი სხვა გზა არ წარმოადგენს საშიშროებას, მიუთითეთ ექსპოზიციის გზა,)	კანცეროგენობა	1A, 1B
H351	სავარაუდოა გამოიწვიოს კანცერი (თუ დამტკიცებულია, რომ ექსპოზიციის არც ერთი სხვა გზა არ წარმოადგენს საშიშროებას, მიუთითეთ ექსპოზიციის გზა)	კანცეროგენობა	2
H360	შეიძლება დააზიანოს განაყოფიერება ან ჯერ კიდევ დაუბადებელი ჩვილი, ფეტუსი (თუ ცნობილია, მიეთითოს სპეციფიკური ეფექტი) (თუ დამტკიცებულია, რომ ექსპოზიციის არც ერთი სხვა გზა არ წარმოადგენს საშიშროებას, მიუთითეთ ექსპოზიციის გზა)	რეპროდუქციული ტოქსიკურობა	1A, 1B
H361	სავარაუდოდ დააზიანებს განაყოფიერებას ან ჯერ კიდევ დაუბადებელ ჩვილს, ფეტუსს (თუ ცნობილია, მიეთითოს სპეციფიკური ეფექტი) (თუ დამტკიცებულია, რომ ექსპოზიციის არც ერთი სხვა გზა არ წარმოადგენს საშიშროებას, მიუთითეთ ექსპოზიციის გზა)	რეპროდუქციული ტოქსიკურობა	2
H362	შეიძლება დააზიანოს ძუძუმწოვარი ბავშვი	რეპროდუქციული ტოქსიკურობა	დამატებითი კატეგორია
H370	იწვევს ორგანოების დაზიანებას (ან თუ ცნობილია მიუთითეთ ყველა დაზიანებული ორგანო) (თუ ცნობილია, მიეთითოს სპეციფიკური ეფექტი) (თუ დამტკიცებულია, რომ ექსპოზიციის არც ერთი სხვა გზა არ წარმოადგენს საშიშროებას, მიუთითეთ ექსპოზიციის გზა)	სპეციფიკური ორგანოს ერთჯერადი ექსპოზიცია	სამიზნე ტოქსიკურობა, 1
H371	შეიძლება იწვევდეს ორგანოების დაზიანებას (ან თუ ცნობილია მიუთითეთ ყველა დაზიანებული ორგანო) (თუ ცნობილია, მიეთითოს სპეციფიკური ეფექტი) (თუ დამტკიცებულია, რომ ექსპოზიციის არც ერთი სხვა გზა არ წარმოადგენს საშიშროებას, მიუთითეთ ექსპოზიციის გზა)	სპეციფიკური ორგანოს ერთჯერადი ექსპოზიცია	სამიზნე ტოქსიკურობა, 2

H372	იწვევს ორგანოების დაზიანებას (თუ ცნობილია, მიუთითეთ დაზიანებული ორგანო) ხანგრძლივი ან განმეორებითი ექსპოზიციის დროს (თუ დამტკიცებულია, რომ ექსპოზიციის არც ერთი სხვა გზა არ წარმოადგენს საშიშროებას, მიუთითეთ ექსპოზიციის გზა)	სპეციფიკური სამიზნე ორგანოს ტოქსიკურობა, განმეორებითი ექსპოზიცია	1
H373	შეიძლება იწვევდეს ორგანოების დაზიანებას (თუ ცნობილია, მიუთითეთ დაზიანებული ორგანო) ხანგრძლივი ან განმეორებითი ექსპოზიციის დროს (თუ დამტკიცებულია, რომ ექსპოზიციის არც ერთი სხვა გზა არ წარმოადგენს საშიშროებას, მიუთითეთ ექსპოზიციის გზა)	სპეციფიკური სამიზნე ორგანოს ტოქსიკურობა, განმეორებითი ექსპოზიცია	2

ქვეკატეგორია 1B – კოროზია ექსპოზიციიდან  $\geq 3$  წუთის განმავლობაში.

ქვეკატეგორია 1C – კოროზია ექსპოზიციიდან  $\geq 1$  საათის განმავლობაში.

კანის ძლიერი გაღიზიანება: კატეგორია 2

კანის გაღიზიანება: კატეგორია 3

**გ) თვალის სერიოზული დაზიანება/გაღიზიანება:**

თვალის სერიოზული გაღიზიანება – კატეგორია 1

თვალის გაღიზიანება – კატეგორია 2

**დ) რესპირატორული და კანის სენსიბილიზაცია :**

რესპირატორული სენსიბილიზატორი – კატეგორია 1, ქვეკატეგორიები 1A, 1B.

კანის სენსიბილიზატორი – კატეგორია 1, ქვე-კატეგორიები 1A, 1B.

**ე) ჩანასახოვანი უჯრედების მუტაგენობა – 1, 1A, 1B კატეგორიები.**

**ვ) კანცეროგენობა:**

კატეგორია 1 – ადამიანის ცნობილი კანცეროგენი.

კატეგორია 1A – გააჩნია კანცეროგენული პოტენციალი ადამიანისათვის ადამიანის მონაცემების საფუძველზე.

ქვე-კატეგორია 1B – ადამიანის სავარაუდო კანცეროგენი. ცხოველების მონაცემების საფუძველზე.

კატეგორია 2 – ადამიანის საექვო კანცეროგენი

**ზ) რეპროდუქციული ტოქსიკურობა**

**კატეგორია 1 – ადამიანის ცნობილი რეპროტოქსიკანტი**

ქვეკატეგორია 1A – სავარაუდო რეპროტოქსიკანტი ადამიანის მონაცემების საფუძველზე.

ქვეკატეგორია 1B – შესაძლო რეპროტოქსიკანტი ცხოველების მონაცემების საფუძველზე.

კატეგორია 2 – ადამიანის საექვო რეპროტოქსიკანტი

**თ) სამიზნე ორგანოს შერჩევითი ტოქსიკურობა, ერთჯერადი მოქმედებისას:**

კატეგორიები – 1,2,3;

**ი) სამიზნე ორგანოს შერჩევითი ტოქსიკურობა, მრავალჯერადი ხანგრძლივი მოქმედებისას**  
– კატეგორიები 1,2;

**კ) საშიშროება ასპირაციის დროს** – კატეგორიები 1, 2.

4. ორსული, ახალნამშობიარე და მეძუძური ქალებისათვის განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს №1 ცხრილში წარმოდგენილი საშიშროებაზე მინიშნების H-ფრაზებით

გამოხატული ქიმიური აგენტები. ცხრილში №1<sup>1</sup> მოყვანილია H-ფრაზებსა და R- ფრაზებს შორის შესაბამისობა.

ცხრილი №1<sup>1</sup> H-ფრაზებსა და R- ფრაზებს შორის შესაბამისობა

H-ფრაზები		R- ფრაზები	
საფრთხის კლასი, საფრთხის კატეგორია და საფრთხის კოდი	საფრთხის შესახებ მითითების კოდი	საფრთხის აღნიშვნა	განსაკუთრებული საფრთხის აღნიშვნა
Muta. 1A ან 1B	H340	Muta. Cat. 1 ან 2	R46
Muta. 2	H341	Muta. Cat. 3	R68
Carc. 1A ან 1B	H350	Carc. Cat. 1 ან 2	R45
Carc. 1A ან 1B	H350i	Carc. Cat. 1 ან 2	R49
Carc. 2	H351	Carc. Cat. 3	R40
Repr. 1A ან 1B	H360F	Repr. Cat. 1 ან 2	R60
Repr. 1A ან 1B	H360D	Repr. Cat. 1 ან 2	R61
Repr. 1A ან 1B	H360FD	Repr. Cat. 1 ან 2	R60/61
Repr. 2	H361f	Repr. Cat. 3	R62
Repr. 2	H361d	Repr. Cat. 3	R63
Repr. 2	H361fd	Repr. Cat. 3	R62-63
Lact.	H362	Muta. Cat. 1 ან 2	R64
STOT SE 1	H370	T T T T+ T+ T+	R39/23 R39/24 R39/25 R39/26 R39/27 R39/28
STOT SE 2	H371	Xn Xn Xn	R68/20 R68/21 R68/22

**ცხრილი №2 რეპროდუქციულ ფუნქციაზე მოქმედი პოტენციურად საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა ჩამონათვალი\***

№	ნივთიერების დასახელება
1.	აკრილამიდი
2.	აკროლეინი
3.	ნ-ამინონიკოტინამიდი
4.	სელენოვანი ანჰიდრიდი
5.	ანილინი და მისი წარმოებულები
6.	ანტიბიოტიკები
7.	საანესთეზიო აირები
8.	ანტიკოაგულანტები
9.	აცეტამიდი
10.	აცეტონი
11.	ბარბიტალი და ნატრიუმის ბარბიტალი
12.	ბარიუმი და მისი ნაერთები
13.	ბენზინი-საწვავი, გამხსნელი
14.	ბენზოლი
15.	ბენზაპირენი
16.	ბერილიუმი და მისი ნაერთები
17.	ბენზოსულფომჟავას ბუტილამიდი
18.	ბუთილმეტაკრილატი
19.	ვინილქლორიდი
20.	ჰექსაქლორბენზოლი
21.	ჰერონი
22.	ჰიდრაზინი და მისი წარმოებულები
23.	იზოპროპილბენზოლის ჰიდროზექსანგი
24.	ჰორმონული პრეპარატები
25.	(1,3- ბუტადიენი) დიბუტილფტალატი (დივინილი)
26.	დოდეცილფტალატი
27.	დიმეთილაცეტამიდი
28.	2,6- დიმეთილ ჰიდროქინონი
29.	4,4 დიმეთილოქსანი
30.	დიმეთილსულფატი
31.	დიმეთილპერეფტალატი
32.	დიმეთილფორმამიდი
33.	დიმეთილფტალატი
34.	პერფტორადიპინის მჟავას დინიტროლი
35.	პერფტორგლუტარის მჟავას დინიტროლი
36.	დინიტრობენზოლი
37.	დიოქსინი
38.	დისულფიდი და მეთილპანტოილი
39.	1,3- დიქლორბუტენ-2
40.	დიეთილაცეტამიდი

41.	დიეთილფტალატი
42.	კადმიუმი და მისი ნაერთები
43.	კაპროლაქტამი
44.	კაპტანი
45.	კარბათიონი
46.	ქსანთოგენატები კალიუმის, ნატრიუმის
47.	ქსილოლი
48.	ლუმინოფორები
49.	მანგანუმი და მისი ნაერთები
50.	სპილენძი და მისი ნაერთები
51.	მეტაცილი
52.	მეთილაცეტამიდი
53.	მონოფურფურილიდენაცეტონი
54.	მონოეთალოლამინი
55.	მონოფოლინი
56.	B- ნაფტალინი
57.	A-ნაფთოქინონი
58.	ნიკოტინამიდი
59.	ბენზოლის ნიტრონაერთები
60.	ნიტროფურანი
61.	პაქიკარპინი
62.	პესტიციდები
63.	პიპერიდინი
64.	პირიმიდინის წარმოებულები
65.	რაუვოლფია და მისი პრეპარატები
66.	ვერცხლისწყალი და მისი ნაერთები
67.	ტყვია და მისი ნაერთები
68.	სელენი და მისი ნაერთები
69.	გოგირდახშირბადი
70.	სტიროლი
71.	აზოტმჟავა სტრონციუმი
72.	სტრონციუმის ოქსიდი და ჰიდროქსიდი
73.	სტიბიუმი და მისი ნაერთები
74.	თამბაქო-მტვერი და აქროლადი ნივთიერებები
75.	ტალიდომიდი
76.	თალიუმი და მისი ნაერთები
77.	თეობრომინი
78.	თეოფილინი
79.	ტესტოსტერონი
80.	ტეტრამეთილტიურამიდისულფიდი
81.	ტეტრაქლორუტანი
82.	ტეტრაქლორბუტადიენი
83.	ტეტრაეთილტყვია
84.	თიოაცეტამიდი და მისი წარმოებულები

85.	თიორაცილი
86.	ტოლუოლი
87.	ტრეტბუთილპირაცეტატი
88.	ტრეტბუთილპერბენზოატი
89.	ტრიკრეზილფოსფატი
90.	ტრიკრეზოლი
91.	1,5, 5-ტრიმეთილციკლოპექსანონი-3
92.	3,5 – ტრიმეთილციკლოპექსანონი-3
93.	ტრინიტროტოლუოლი
94.	2,4,6,- ტრინიტროფენოლი
95.	ტრიფენილფოსფატი
96.	ტრიფტაზინი
97.	მ-ტრიფტორმეთილფენილიზოციანატი
98.	ტრიფტორქლორპროპანი
99.	1,1,3-ტრიქლორაცეტონი
100.	1,2,3- ტრიქლორბუტენი-3
101.	ტრიქლორსილანი
102.	ტრიქლორტრიაზინი
103.	სპილენძის ტრიქლორფენოლია
104.	ტრიქლორეთილენი
105.	ტრიეთოქსისილანი
106.	ტრი (2 –ეთილჰექსილ) ფოსფატი
107.	სამმაგიკარბონატი
108.	ურანი (ხსნადი და უხსნადი ნაერთები)
109.	ნნ-მ-ფენილენდიმალეიმიდი
110.	ფენოლი
111.	ფორმალდეჰიდი
112.	ფორმამიდი
113.	ფოსფორის ტრიჰიდრიდი (ფოსფინი)
114.	ხუთქლორიანი ფოსფორი
115.	სამქლორიანი ფოსფორი
116.	ფოსფორის ქლორჟანგი
117.	ფტორ აცეტამიდი
118.	ფტოროტანი
119.	ფურანი
120.	ფურილის სპირტი
121.	ფურფურიალიდენი
122.	ფურფოლორი
123.	ქინაქინა
124.	2-კარბონმჟავას 4 ქლორბენზონფენონი
125.	ქლორიანი 5-ეთოქსიფენილი 1,2 აზთიონის
126.	ქლორმეთილტრიქლორსილანი
127.	ქლოროპრენი
128.	ქლოროფორმი

129.	II ქლოროფენოლი
130.	2- ქლორეთანსულფოქლორიდი
131.	ქრომატები, ბიქრომატები
132.	ციკლოჰექსანი
133.	ციკლოჰექსანონი
134.	ციკლოჰექსანლოქსიმი
135.	ეპიქლორჰიდრიდი
136.	ეთილენის ოქსიდი
137.	ეთილენიმინი
138.	ეთილმერკურფოსფატი
139.	2- ეთილჰექსილდიფენილფოსფატი
140.	ეუფილინი
141.	ურეთანები
142.	აცეტილსალიცილინის მჟავა
143.	ამილის ბრომიდი
144.	ბუთილის ბრომიდი
145.	ჰექსილის ბრომიდი
146.	დიბუთილფენილფოსფატი
147.	ეპოქსიდური ფისების აქროლადი პროდუქტები
148.	ეპოქსიტრიფენოლის ფისის აქროლადი პროდუქტები
149.	მეთილის დიქლორადი
150.	2-მეთილფურანი
151.	ტრიბუთილფოსფატი
152.	ფენოქსიმარმჟავა
153.	დარიშხანი და მისი ნაერთები
154.	2,4,6 ტრინიტროანიზოლი

\* შეტანილია ქიმიური ნივთიერებები, რომლებიც საშიშ მოქმედებას ახდენენ გონადებზე და/ან ემბრიონზე (კლინიკური და ექსპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე).

**ცხრილი №3. უპირატესად ფიბროგენული მოქმედების საწარმოო აეროზოლების ნუსხა**

უპირატესად ფიბროგენული მოქმედების საწარმოო აეროზოლების ნუსხა	
№	ნივთიერების დასახელება
1.	სილიციუმის დიოქსიდი (კაჟმიწა) კრისტალური (კვარცი, კრისტობალიტი, ტრიდიმიტი, კვარციტი, დინასი, გრაფიტი, შამოტი, ნედლი ქარსი, სპილენძ-სულფიდური მადნები და სხვ.)
2.	სილიციუმის დიოქსიდი ამორფული კონდენსაციის და დეზიტეგრაციის აეროზოლების სახით (დიატომიტი, კვარცის მინა, ნადნობი კვარცი, ტრეპელი და სხვ.)
3.	სილიციუმის კარბიდი (ბოჭკოვანი კრისტალები)
4.	სილიკატების შემცველი მტვერი, სილიკატები, ალუმინის სილიკატები: ა) ბუნებრივი აზბესტი (ქრიზოტილი, ანტოფილიტი, აქტინოლიტი, ტრემოლიტი,

	<p>მაგნეზიარფვედსონიტი) და სინთეზური აზბესტები, ასევე აზბესტოვანი ქანების მტვერი;</p> <p>ბ) აზბესტცემენტი შეუღებავი და ფერადი, მასში მანგანუმის დიოქსიდის არაუმეტეს 5%, ქრომის ოქსიდის არაუმეტეს 7%, რკინის ოქსიდის არაუმეტეს 10% შემცველობით;</p> <p>გ) აზბესტბაკელიტი, აზბესტრეზინი;</p> <p>დ) ქარსი (ფლაგოპიტი, მუსკოვიტი), ტალკი, ტალკისებური ქანების მტვერი;</p> <p>ე) ცემენტი, ოლივინი, აპატიტი, თიხა კაოლინოვანი შამოტი;</p> <p>ვ) ვულკანური წარმოშობის მინისებური სილიკატები (ტუფი, პემზე, პერლიტი);</p> <p>თ) დუნიტები და მათგან დამზადებული მაგნეზიტური სილიკატური (ფორსტერიტული) ცეცხლგამძლე;</p> <p>ი) მინის და მინის სამშენებლო მასალების მტვერი.</p>
5.	ხელოვნური მინერალური ბოჭკოები სილიკატური მინისებური სტრუქტურით (მინის ბოჭკო, მინის ბამბა, მინერალური და წიღური ბამბა, ბაზალტური).
6.	ლითონებისა და მათი სილიკატების აეროზოლები, წარმოქმნილი მშრალი ხეხვის, ლითონის ფხვნილის მიღების პროცესში
7.	<p>ნახშირბადის მტვერი:</p> <p>ა) ქვანახშირის, სქელფისის, ნავთობის, ქარსისკოქსი;</p> <p>ბ) ანტრაციტი და ნახშირის სხვა წიაღისეული;</p> <p>გ) ნახშირის ქანების მტვერი თავისუფალი სილიციუმის დიოქსიდის შემცველობით 5-დან 10%-მდე;</p> <p>დ) ალმასი ბუნებრივი და ხელოვნური, მათ შორის მეტალიზებული;</p> <p>ე) სარეწველო შავი ჭვარტლი ბენზაპირენის შემცველობით არაუმეტეს 35 მგ/კგ;</p> <p>ვ) ნახშირბადოვანი ბოჭკოსებრი მასალები ჰიდროცელულოზური და პოლიაკრილონიტრილის ბოჭკოების საფუძველზე.</p>
8.	მცენარეული და ცხოველური წარმოშობის მტვერი (ბამბის, სელის, კანაფის, ჯუთის, მარცვლის, თამბაქოს, მერქნის, ტორფის, სვიის, ქალაღის, შალის, ბუმბულის, ნატურალური აბრეშუმის და სხვ.).
9.	არარორგანული ლუმინოფორის მტვერი, მათ შორის კადმიუმის 5%-მდე შემცველობით
10.	<p>შედულების აეროზოლები:</p> <p>ა) მანგანუმის (20%-ზე მეტი), ნიკელის, ქრომის, ფტორის შენაერთების, ბერილიუმის, ტყვიის შემცველი;</p> <p>ბ) მანგანუმის (20%-მდე), რკინის ოქსიდების, ალუმინის, მაგნიუმის, ტიტანის, სპილენძის, თუთიის, მოლიბდენის, ვანადიუმის, ვოლფრამის შემცველი.</p>
11.	აბრაზიული და აბრაზივშემცველი (ელექტროკორუნდი, ბორის კარბიდი, ელბორი, სილიციუმის კარბიდი და სხვ.)

**დანართი №1.3**

**სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია ფიზიკურ ფაქტორებთან**

**მუხლი 1**



ეს დანართი განსაზღვრავს სამუშაოებს, რომლებიც უკავშირდება ორსული, ახალნამშობიარები და მეძუძური ქალების ჯანმრთელობისათვის მავნე და საშიშ ფიზიკურ ფაქტორებს (ხმაური, ვიბრაცია, მაიონებელი, არამაიონებელი გამოსხივება, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, ატმოსფერული წნევა, ტემპერატურა, განათებულობა და სხვ.), ასევე ინფორმაციას მათგან გამოწვეული რისკებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომელთა განხორციელება საჭიროა ამ რისკების თავიდან ასაცილებლად ან/და შესამცირებლად.

## მუხლი 2

1. ორსული, ახალნამშობიარები და მეძუძური ქალები არ დაიშვებიან სამუშაოდ ზოგადი და ლოკალური ვიბრაციის და ულტრაბგერის ზემოქმედების პირობებში.
2. ორსული, ახალნამშობიარები და მეძუძური ქალები არ დაიშვებიან მძიმე და მიწისქვეშა სამუშაოებზე.
3. ორსული, ახალნამშობიარები და მეძუძური ქალები არ დაიშვებიან სიმაღლესთან დაკავშირებულ სამუშაოებზე.
4. ინფრაბგერასთან, მაიონებელ გამოსხივებასთან და ატმოსფერული წნევის პირობებში სამუშაოდ დაიშვებიან ორსული, ახალნამშობიარები და მეძუძური ქალები მხოლოდ ბუნებრივი ფონის არსებობისას. ფიზიკური და სხვა ფაქტორების ჰიგიენური მაჩვენებლები (ოპტიმალური დონეები) წარმოდგენილია №1 ცხრილში.

## ცხრილი №1

საწარმოო გარემოს ოპტიმალური პირობების ჰიგიენური მაჩვენებლები	
საწარმოო გარემოს მავნე ფაქტორები	ოპტიმალური დონე
უპირატესად ფიზროგენული და შერეული ტიპის მოქმედების სამრეწველო აეროზოლები	არ უნდა იყოს
ვიბრაცია (ზოგადი და ლოკალური)	არ უნდა იყოს
ხმაური	არა უმეტეს 50 დბა
ულტრაბგერა	არ უნდა იყოს
ინფრაბგერა	ბუნებრივი ფონი
არამაიონებელი გამოსხივება: - სამრეწველო სიხშირის (50 ჰც) ელექტრული ველი - რადიოსიხშირის დიაპაზონის ელექტრომაგნიტური გამოსხივება: - 0,01 – 3 ჰც - 3-30 ჰც - 30 ჰც-300 მჰც - 300 მჰც-300 ჰკც - მუდმივი ელექტრული და მაგნიტური ველები	0,5 ვ/მ  10 ვ/მ 6 ვ/მ 2 ვ/მ 1 მკვ/ ბუნებრივი ფონი
მაიონებელი გამოსხივება	ბუნებრივი ფონი
მიკროკლიმატი შენობაში Ia* კატეგორიის (ენერგო დანახარჯების ინტენსივობით 120 კვალ/სთ-მდე) მსუბუქი სამუშაოს შესრულებისას: ჰაერის ტემპერატურა, °C;	

<sup>2</sup> მძიმე სამუშაო - „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განმარტებული სამუშაო.

- წლის ცივი პერიოდი	22-24
- წლის თბილი პერიოდი	23-25
- შეფარდებითი ტენიანობა, %	40-60
- ჰაერის მოძრაობის სიჩქარე, მ/წ	0,1
ატმოსფერული წნევა, მმ-ში ზღვის დონიდან	ბუნებრივი ფონი
განათებულობა, ლქ (განათების კომბინირებული სისტემა)	მოქმედი ჰიგიენური ნორმატივების ოპტიმალური სიდიდეები
*შენიშვნა: სამუშაოს კატეგორიები განსაზღვრულია - „საწარმოო სათავსების მიკროკლიმატისადმი წაყენებული ჰიგიენური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №69 დადგენილებით.	

5. ორსული, ახალნამშობიარები და მეძუძური ქალები არ უნდა მუშაობდნენ ინფრაციითელი გამოსხივების ზემოქმედების პირობებში. სამუშაო ზონაში გახურებული დანადგარების და მოწყობილობების ზედაპირის ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 35<sup>0</sup>C-ს.
6. ორსული, ახალნამშობიარები და მეძუძური ქალები არ დაიშვებიან ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის დასველებასთან დაკავშირებულ და ორპირ ქარში მუშაობასთან.
7. ორსული, ახალნამშობიარე და მეძუძურ ქალებს ეკრძალებათ მუშაობა ატმოსფერული წნევის მკვეთრი მერყეობის პირობებში (საფრენოსნო შემადგენლობა, ბორტგამცილებელი, ბაროკამერის პერსონალი და სხვ.).
8. ორსული, ახალნამშობიარები და მეძუძური ქალებისათვის დაუშვებელია მუშაობა ბუნებრივი განათების არმქონე უსარკმელო და გაუნათებელ სათავსებში; ორსული, ახალნამშობიარები და მეძუძური ქალები არ უნდა შედიოდნენ სათავსებში, სადაც ჟანგბადის შემცველობა 20%-ზე ნაკლებია.
9. ორსული, ახალნამშობიარები და მეძუძური ქალები არ დაიშვებიან სამუშაოზე, რომელიც პროფესიულად დაკავშირებულია ვიდეოდისპლეური ტერმინალების (პერსონალური კომპიუტერების გარდა) გამოყენებასთან და რადიოსიხშირის დიაპაზონის ელექტრომაგნიტური გამოსხივების ზემოქმედებასთან.

### მუხლი 3

ორსული, ახალნამშობიარები და მეძუძური ქალებისთვის მძიმედ და საშიშად მიიჩნევა სამუშაო შენობა-ნაგებობებში, სადაც ტემპერატურა სცილდება +15<sup>0</sup> C-დან +25<sup>0</sup> C -მდე დიაპაზონის ზღვარს, ასევე რეგულარულად ისეთი სამუშაოების შესრულება, რომლებიც დაკავშირებულია მაღალ ტენიანობასთან. ტემპერატურისას, თუ ის +15<sup>0</sup> C-ზე ნაკლებია, საჭიროა თბილი სასმელების მიწოდება. სამუშაოები +15<sup>0</sup>C და ქვემოთ დასაშვებია, თუ დამსაქმებელს გააჩნია ტანსაცმელი, რომელიც მორგებულია თერმულ სიტუაციაზე და საქმიანობის შესაფერისია. შენობა-ნაგებობებში ტემპერატურის შეფასებისას გასათვალისწინებელია აგრეთვე ჰაერის ტენიანობა, ჰაერის სიჩქარე ან ზემოქმედების ხანგრძლივობა.

### მუხლი 4

1. მაიონებული გამოსხივების წყაროებთან მომუშავე ორსული ქალის ჩანასახის დასხივება, მას შემდეგ, რაც ქალი შეატყობინებს დამსაქმებელს ორსულობის შესახებ, უნდა შეიზღუდოს შრომის პირობების შეცვლით ისე, რომ ორსულობის დარჩენილ პერიოდში გარეგანი დასხივების ეფექტური დოზისა და ჩანასახის შინაგანი დასხივების მოსალოდნელი ეფექტური დოზათა ჯამის მნიშვნელობამ არ გადააჭარბოს 1 მილიზილვერტს (მზვ) წელიწადში. დამსაქმებელმა, რომელიც ინფორმირებულია ქალის ორსულობასა ან

მემუძურობაზე, უნდა უზრუნველყოს ქალის შრომის შესაბამისი პირობები პროფესიულ დასხივებასთან მიმართებაში ჩანასახისა და ახალშობილისათვის დაცვის ისეთივე დონეზე, როგორც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ორსული, ახალნამშობიარები და მემუძური ქალები არ უნდა მუშაობდნენ რადიოაქტიური დაბინძურების საფრთხის მქონე მაიონებელ გამოსხივებასთან.

3. ორსულობის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან ორსულობის დასრულებამდე, გარანტირებული უნდა იყოს, რომ არამაიონებელი გამოსხივების ზემოქმედება არ გამოიწვევს დედის ან ბავშვისთვის ზიანს. დაცული უნდა იყოს №1 ცხრილში დასახელებული არამაიონებელი გამოსხივების ზღვრული მნიშვნელები.

**ცხრილი №1. ერთიანი სიხშირის ველში ზემოქმედების ზღვრული მნიშვნელები**

